სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს დისტანციური სხდომის ოქმი #3

ქ. თბილისი **2020 წლის 1 ოქტომბერი**

ქვეყანაში და მსოფლიოში მიმდინარე კორონავირუსთან (COVID-19) დაკავშირებული პანდემიის გამო წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ფორმატთან დაკავშირებით მიღებული იქნა გადაწყვეტილება, წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის დისტანციურად, ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარების თაობაზე.

შესაბამისად, თსუ სენატის სამდივნოს მიერ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს ელ. მისამართებზე დაეგზავნათ წარმომადგენლობითი საბჭოს დისტანციური სხდომის დღის წესრიგი, შესაბამისი მასალებით და ეთხოვათ, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, დისტანციურად დააფიქსირებინათ პოზიცია, უჭერდნენ თუ არა მხარს წარმოდგენილ საკითხებს.

დისტანციური სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმადგენლობითი საბჭოს წევრთა სტატუსის შესახებ (მომხსენებლი: გიორგი ჩაკვეტაძე)

2. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული, ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის მცხეთის კრიოგენულ საამქროში განთავსებული მოძრავი ქონების განკარგვის საკითხი (მომხსენებელი: ლაშა საღინაძე)

3. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. რუსთავი, XV მიკრორაიონში მდებარე უძრავი ქონების პრივატიზების საკითხი (მომხსენებელი: ლაშა საღინაძე)

4. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული ქალაქ თბილისში, ინგოროყვას ქუჩა N8-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის განკარგვის საკითხი (მომხსენებელი: ლაშა საღინაძე)

5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებების დამტკიცება (მომხსენებელი: ვლადიმერ მარგველაშვილი)

თსუ სენატის სამდივნოში ელ. ფოსტის მეშვეობით, თავიანთი პოზიცია დააფიქსირეს წარმომადგენლობითი საბჭოს შემდეგმა **46** წევრმა:

1. გიორგი გოგსაძე 2. გვანცა გვანცელაძე 3. შოთა კეჟერეშვილი 4. არჩილ ჯავახიშვილი 5. ლევან საბაური 6. ირაკლი ღარიბაშვილი 7. ადა ნემსაძე 8. მარინე ხუციშვილი 9. ლია მაჭავარიანი 10. კობა ყალიჩავა 11. თემურ ცქიტიშვილი 12. კახაბერ ლორია 13. ქეთევან ცანავა 14. მერაბ ხოხობაია 15. მიხეილ რუხაია 16. ნათელა არჩვაძე 17. ომარ მუკბანიანი 18. ილია თავხელიძე 19. ნოდარ ლომიძე 20. სოფიო ხუციშვილი 21. არნოლდ გეგეჭკორი 22. მანანა რუსეიშვილი 23. ბეჟან თუთბერიძე 24. ნინო ჭალაგანიძე 25. მარინა გარიშვილი 26. ზურაბ გაიპარაშვილი 27. ელენე ბებერაშვილი 28. ელისაბედ ბჟალავა 29. თინა ქიტუაშვილი 30. ირინე ჟვანია 31. ნინო აბესაძე 32. მაია ივანიძე 33. სანდრო მარანელი 34. ვლადიმერ მარგველაშვილი 35. ნაზირა კაკულია 36. ნინო ჩახუნაშვილი 37. ირაკლი ონიანი 38. დინა ხუციშვილი 39. ლალი ახალბედაშვილი 40. კაკულია ეთერი 41. მარინა გურგენიშვილი 42. ციური სუმბაძე 43. ნოდარ ხოდელი 44. ალექსანდრე გაბაშვილი 45. მათე შვანგირაძე 46. აპოლონ თაბუაშვილი (დანართი 1)

იმის გათვალისწინებით, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დღის წესრიგის მე-5 საკითხთან დაკავშირებით (სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებების დამტკიცება) განხილვაში მონაწილეობს ასევე აკადემიური საბჭო, აღნიშნული საკითხი რექტორის აპარატისა და აკადემიური საბჭოს სამდივნოს მიერ გადაგზავნილი იქნა თსუ აკადემიური საბჭოს წევრებთან გასაცნობად (დანართი 2).

დღის წესრიგით გათვალისწინებულ უძრავ/მოძრავი ქონების განკარგვის საკითხებთან დაკავშირებით ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ლაშა საღინაძეს წერილობითი შეკითხვებით მიმართეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა მიხეილ რუხაიამ და ირაკლი ღარიბაშვილმა. კანცლერის პასუხი გადაეგზავნათ საბჭოს წევრებს გასაცნობად. დღის წესრიგის მე-4 საკითხთან დაკავშირებით თავისი პოზიცია დააფიქსირეს არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის წარმომადგენელმა გვანცა გვანცელაძემ და სენატის წევრმა ზურაბ გაიპარაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აღნიშნული შენობის ირგვლივ, ინსტიტუტის დირექტორს ნანა მაჭავარიანს წერილობით გამოხატული აქვს მთელი ინსტიტუტის პოზიცია და ასაბუთებს, რომ საჭიროა მათი შენობის გაყიდვა და, შესაბამისად, ენათმეცნიერების ინსტიტუტის ახალი შენობით უზრუნველყოფა. მე-5 საკითხთან დაკავშირებით (თსუ მედიცინის ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებების შეტანა) თსუ აკადემიური საბჭოს წევრის, რამაზ ქურდაძის მოსაზრებით, სახელწოდებები „ბავშვთა ასაკი“, ანუ იგივე „ბავშვების ასაკი“ სტილისტურად გაუმართავია. მისი აზრით, უმჯობესია სიტყვა “ ასაკი” საერთოდ ამოღებულ იქნას და კათედრის უკვე შეცვლილი სახელწოდება იყოს: "ბავშვთა სტომატოლოგიის და სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკის კათედრა”. სენატის წევრი, ომარ მუკბანიანი მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ "პროპედევტიკა" შეიცვალოს შესაბამისი ქართული სიტყვით. აღნიშნულ პოზიციას იზიარებენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები მიხეილ რუხაია და ილია თავხელიძე. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი, ზურაბ გაიპარაშვილი დაინტერესდა აღნიშნულ შენიშვნასთან დაკავშირებით მედიცინის ფაკულტეტის ხელმძღვანელობის პოზიციით. როგორც სენატის სპიკერმა, მედიცინის ფაკულტეტის წარმომადგენელმა ვლადიმერ მარგველაშვილმა წერილობით განმარტა, „პროპედევტიკა” არის კლასიკური, ტრადიციული სამედიცინო ტერმინი, რომელიც მრავალი ათეული წელია

ფართოდ გამოიყენება მსოფლიოს ყველა სამედიცინო უნივერსიტეტში და ასევე სამედიცინო ლიტერატურაში.პირდაპირი მნიშვნელობით “შესავალს” ნიშნავს, თუმცა შინაარსობრივად გაცილებით უფრო მასშტაბური მნიშვნელობა აქვს. აღნიშნა, რომ ყველა ქართული ტერმინოლოგიის პრაქტიკაში ფართოდ დანერგვის და გამოყენების მომხრეები არიან. თუმცა მიაჩნიათ, რომ საერთაშორისოდ აღიარებული,ყველა ექიმისთვის გასაგები,ტრადიციული და კლასიკური ტერმინი უფრო მისაღებია.

წარმომადგენლობითი საბჭოს 46 წევრმა მხარი დაუჭირა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების დადებითად გადაწყვეტას.

შესაბამისად, მიღებულად ჩაითვალა შემდეგი გადაწყვეტილებები:

1.შეუწყდეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის სტატუსი იურიდიული და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმომადგენლებს: ლუკა თურმანიძესა და ნიკოლოზ ცოფურაშვილს.

მომხრე: 46

წინააღმდეგი: 0

2.გაიცეს თანხმობა, სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული, ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის მცხეთის კრიოგენულ საამქროში განთავსებული მოძრავი ქონების განკარგვასთან დაკავშირებით (დანართი 3)

მომხრე: 46

წინააღმდეგი: 0

3.გაიცეს თანხმობა, სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. რუსთავი, XV მიკრორაიონში მდებარე უძრავი ქონების პრივატიზებასთან დაკავშირებით. (დანართი 4)

მომხრე: 46

წინააღმდეგი: 0

4.გაიცეს თანხმობა, სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული ქალაქ თბილისში, ინგოროყვას ქუჩა N8-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის განკარგვასთან დაკავშირებით. (დანართი 5)

მომხრე: 46

წინააღმდეგი: 0

5. დამტკიცდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებები წარმოდგენილი სახით (დანართი 6)

მომხრე: 46

წინააღმდეგი: 0

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი - ვლადიმერ მარგველაშვილი

წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი - გიორგი ჩაკვეტაძე

2020 წლის 1ოქტომბრის დისტანციური სხდომის ფორმატში (ელ.ფოსტის გამოყენებით) მონაწილე წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:

აბესაძე ნინო -

კაკულია ნაზირა -

საბაური ლევანი

ხოხობაია მერაბი -

სტუდენტები:

შვანგირაძე მათე -

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

არჩვაძე ნათელა -

თუთბერიძე ბეჟანი -

მაჭავარიანი ლია -

გეგეჭკორი არნოლდი -

მუკბანიანი ომარი -

თავხელიძე ილია -

იურიდიული ფაკულტეტი

პროფესორები:

ყალიჩავა კობა -

გარიშვილი მარინა -

ივანიძე მაია -

სტუდენტები:

ონიანი ირაკლი -

ჯავახიშვილი არჩილი -

მარანელი სანდრო

მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

მარგველაშვილი ვლადიმერი -

ქიტუაშვილი თინა -

ხოდელი ნოდარი -

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

გოგსაძე გიორგი -

ჭალაგანიძე ნინო -

სტუდენტები:

ბებერაშვილი ელენე -

გაბაშვილი ალექსანდრე -

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

ჟვანია ირინე -

ჩახუნაშვილი ნინო -

სტუდენტები

ცანავა ქეთევანი -

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

ლორია კახაბერი -

ბჟალავა ელისაბედი -

რუსეიშვილი მანანა -

თაბუაშვილი აპოლონი -

სტუდენტები

კეჟერაშვილი შოთა -

ხუციშვილი დინა -

თსუ-ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

გაიპარაშვილი ზურაბი -

სამეცნიერო ბიბლიოთეკა

ღარიბაშვილი ირაკლი -

თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი

ცქიტიშვილი თემური -

ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტი

ახალბედაშვილი ლალი -

რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი

ხუციშვილი მარინე -

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ნემსაძე ადა -

ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

რუხაია მიხეილი -

ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი

ხუციშვილი სოფიო -

მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

ლომიძე ნოდარი -

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

გვანცელაძე გვანცა -

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

კაკულია ეთერი -

პეტრე მელიქიშვილის სახელობის ფიზიკისა და ორგ. ქიმიის ინსტიტუტი

გურგენიშვილი მარინა -

ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი

სუმბაძე ციური -

დანართი 2

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს იმ წევრთა სია, რომელთაც დისტანციურად (ელ. საშუალების გამოყენებით) დაადასტურეს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად გათვალისწინებული საკითხის გაცნობის ფაქტი.

წარმომადგენლობითი საბჭოს დისტანციური სხდომის ოქმი (01.10.2020 წ. #3)

1. ავაზაშვილი ნიკოლოზ
2. ამირანაშვილი ავთანდილ
3. ანანიაშვილი ნათელა
4. ზაუტაშვილი მარინე
5. იმნაძე პაატა
6. კოპალეიშვილი მაია
7. კუხიანიძე ალექსანდრე
8. ლობჟანიძე გია
9. მაღრაძე ვახტანგ
10. მესტვირიშვილი მაია
11. მექვაბიშვილი ელგუჯა
12. მინდაძე ნინო
13. სილაგაძე ავთანდილ
14. ქურდაძე ირინე
15. ქურდაძე რამაზ
16. ღვედაშვილი გიორგი
17. ღონღაძე ალექსანდრე
18. ყარალაშვილი თამაზ
19. შავლაყაძე ნუგზარ
20. შანიძე რევაზი
21. შენგელია თემური
22. წერეთელი მარი
23. წერეთელი მზია
24. ხარშილაძე ირმა
25. ხაჩიძე მანანა
26. ხუსკივაძე მამუკა
27. ხუციშვილი ქეთევან

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 11101/10 06/08/2020

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი
საბჭოს სპიკერს ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 47-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ განიხილოთ უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული, ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის მცხეთის კრიოგენულ საამქროში განთავსებული 5 ერთეული თხევადი ჟანგბადის ავზის (1. რეზერვუარი თხევადი აზოტისთვის ТРЖК-3 V=7,38 მ³, ექსპ. შესვლის წ. 1979, საწყისი ღირებ. 2768.34 ლარი, საბალანსე ღირებულება 0 ლარი, 2. რეზერვუარი თხევადი აზოტისთვის ЦТК-8/0.25 V=8 მ³, ექსპ. შესვლის წ. 1978, საწყისი ღირებ. 2768.34 ლარი, საბალანსე ღირებულება 0 ლარი, 3. რეზერვუარი თხევადი აზოტისთვის ТРЖК-3 V=7.38 მ³, ექსპ. შესვლის წ. 1978, საწყისი ღირებ. 2828.94 ლარი, საბალანსე ღირებულება 0 ლარი, 4. ცისტერნა ЦТК-2.5/0.25, ექსპ. შესვლის წ. 1986, საწყისი ღირებ. 428.68 ლარი, საბალანსე ღირებულება 0 ლარი, 5. რეზერვუარი თხევადი აზოტისთვის ЦТК-5/0.25 V=5მ³, ექსპ. შესვლის წ. 1980, საწყისი ღირებ. 1637.38 ლარი, საბალანსე ღირებულება 0 ლარი) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით პრივატიზების საკითხი.

პატივისცემით,

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1. Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ/ფაქსი: +(995 32) 222 35 01 Tel/Fax
ელ-ფაქსი: chancellery@tsu.ge; E-mail

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 11327/10 10/08/2020

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი
საბჭოს სპიკერს ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 47-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ განიხილოთ უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. რუსთავი, XV მიკრორაიონში მდებარე (საკადასტრო კოდი: 02.03.02.279) უძრავი ქონების მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით პრივატიზების საკითხი.

დანართი: 2 ელ. ფაილი (საკადასტრო გეგმა და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან)

პატივისცემით,

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1. Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ/ფაქსი: +(995 32) 222 35 01 Tel/Fax
ელ-ფაქსი: chancellery@tsu.ge; E-mail

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო გეგმა

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: *02 03 02 279*
განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 882010611740
მიწის ნაკვეთის ფართობი: *6747* კვ.მ.
დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო
მომზადების თარიღი: 28.05.10



მასშტაბი: 1:1,000

0 2.5 5 10 15 მეტრი

01/2 შენობა-ნაგებობა, პირობითი ნომერი/სართულიანობა

ვალდებულება

ხაზობრივი ნაგებობა

მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი

მშენებარე ნაგებობა

UTM (საერთაშორისო) სისტემის კოორდ.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო: თბილისი 0102 წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2 ტელ: (995 32) 91 04 27; ფაქსი: (995 32) 91 03 41
რუსთავის სარეგისტრაციო სამსახური. ქ. რუსთავი, 3700 კოსტავას ქ№ 38 ტელ: 193529, ფაქ:193529

www.napr.gov.ge

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882019179437 - 12/03/2019 15:49:42

მომზადების თარიღი
13/03/2019 11:46:28

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
რუსთავი	ქ. შარტავა		
02	**03**	**02**	**279**

მისამართი: ქალაქი რუსთავი , მიკრო/რაიონი XV

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 6747.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:
შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: შენობა N1 - განაშენიანების ფართით 1031.98 კვ.მ (საერთო სასარგებლო ფართი 2693.8 კვ.მ; შენობა N2 - განაშენიანების ფართით 10.36 კვ.მ

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 892012144093 , თარიღი 11/12/2012 13:03:06
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 17/12/2012

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- მომართვა ვალდებულების გაუქმების შესახებ N4/3497 , დამოწმების თარიღი:30/11/2012 , სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
- ნასყიდობის ხელშეკრულება N121186900 , დამოწმების თარიღი:31/10/2012 ,ნოტარიუსი რ. ფიფია

მესაკუთრეები:
სსიპ "ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი", ID ნომერი:204864548

მესაკუთრე: **აღწერა:**
სსიპ "ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი"

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 14550/10 15/09/2020

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი
საბჭოს სპიკერს ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

გაცნობებთ, რომ სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მიმდინარე წლის 08 სექტემბერს სარეგისტრაციო ნომრით 15841/10-02, შემოსულია სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის N6/49247 კორესპონდენცია, რომელშიც დასმულია უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული ქალაქ თბილისში, ინგოროყვას ქუჩა N8-ში მდებარე 981.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (ს.კ: N01.15.05.068.002) გარკვეული პირობებით პრივატიზების საკითხი და ითხოვენ უნივერსიტეტის მოსაზრების წარდგენას.

დამატებით გაცნობებთ, რომ ხსენებულ უძრავ ქონებაზე განთავსებულია უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული - არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, რომლის ალტერნატიულ და შეთანხმებულ ფართში განთავსებას, საპრივატიზებო უძრავ ქონებაზე შესაბამისი ხელშლეკრულების გაფორმებიდან 18 თვის ვადაში, უზრუნველყოფს უნივერსიტეტი.

დანართის სახით წარმოგიდგენთ ზემოხსენებულ კორესპონდენციას და მოგმართავთ თხოვნით, ხსენებული საკითხი შეიტანოთ წარმომადგენლობითი საბჭოს უახლოესი სხდომის დღის წესრიგში.

აქვე მოგმართავთ თხოვნით, განუხილველად დატოვოთ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის 07 სექტემბრის N13703/10 კორესპონდენცია.

დანართი: 1 ელექტრონული ფაილი.

პატივისცემით,

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1. Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ/ფაქსი: +(995 32) 222 35 01 Tel/Fax
ელ-ფოსტა: chancellery@tsu.ge; E-mail

KA021783513603420

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0179, ი.ჭავჭავაძის გამზ.49ა
ტელ:(+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

49a I.Chavchavadze avenue, 0179 Tbilisi,Georgia
Tel: (+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

N6/49247 08 / სექტემბერი / 2020 წ.

სსიპ "ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს" (ს.ნ. 204864548)

როგორც თქვენთვის ცნობილია, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო (შემდგომში - სააგენტო) განიხილავს ქ. თბილისში, ინგოროყვას ქუჩა N8-ში მდებარე 981.00 კვ.მ არასასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (ს.კ: N01.15.05.068.002) პრივატიზების საკითხს (10.08.2020 წლის N6/43047), რომელიც წარმოადგენს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახლმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი“) დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სარგებლობაში არსებულ ავარიულ შენობას. შესაბამისად მნიშვნელოვანია, რომ ქონების პრივატიზების შედეგად მიღებული თანხები გადარიცხული იქნეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კუთვნილ საბანკო ანგარიშზე, რათა შემდგომში უნივერსიტეტმა უზრუნველყოს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტისათვის ალტერნატიული შენობა-ნაგებობის შეძენა. რისი გათვალისწინებითაც სააგენტო გამოხატავს მზადყოფნას უძრავი ქონების პრივატიზება განხორციელდეს შემდეგი საპრივატიზებო პირობებით:

ა) საპრივატიზებო თანხის გადახდა, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 კალენდარული დღის ვადაში.

ბ) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 1 თვის ვადაში, არანაკლებ 6 200 000 ლარის ოდენობის თანხის თქვენს მიერ მითითებულ ანგარიშზე ჩარიცხვა.

გ) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 18 თვის ვადით საპრივატიზებო უძრავ ქონებაზე დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტისათვის უსასყიდლოდ სარგებლობის უფლების შენარჩუნება და ამავე ვადის ამოწურვის შემდეგ, მაგრამ არაუმეტეს 10 დღის ვადაში ინსტიტუტის მიერ უძრავი ქონების გამოთავისუფლება.

დ) „გ“ პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებიდან არაუმეტეს 36 თვის ვადაში, შემძენის მიერ, პირადად ან მესამე პირის მეშვეობით, ამავე უძრავ ქონებაზე ტურისტული კომპლექსის (რომელიც უნდა მოიცავდეს (მაგრამ შესაძლოა, არ შემოიფარგლებოდეს) 25 სასტუმროს ნომერს) შექმნა, კანონით დადგენილი წესით ექსპლუატაციაში მიღება და ფუნქციონურების დაწყება.

ე) „დ“ პუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შესრულების მიზნით არანაკლებ 5 000 000 ლარის ოდენობის ინვესტიციის (დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინების გარეშე) განხორციელება.

ვ) მყიდველი ვალდებულია ელექტრონული აუქციონის ჩატარებიდან ერთი თვის ვადაში სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში წარმოადგინოს „ე“ პუნქტით განსაზღვრული საინვესტიციო თანხის 10%-ის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადაც არანაკლებ 4 (ოთხი) თვით უნდა აღემატებოდეს „დ“ პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების ვადას და რომელიც მისი მოქმედების პერიოდში უზრუნველყოფს ,,ა-ე“ პუნქტებით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობების შესრულებას (მათ შორის, ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობისათვის შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდას).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით გთხოვთ, განიხილოთ და შემჭიდროვებულ ვადაში გვაცნობოთ თქვენი მოსაზრება ზემოხსენებული უძრავი ქონებების ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებასთან დაკავშირებით, ზემოთ ხსენებული პირობების გათვალისწინებით. ასევე, გთხოვთ, წერილში მითითებული თანხის თქვენს ანგარიშზე ჩარიცხვის მიზნით, უზრუნველყოთ საბანკო რეკვიზიტების მოწოდება.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტოს თავმჯდომარის პირველი
მოადგილე

იოსებ ოქრომელიძე

ამონაწერი

მედიცინის ფაკულტეტის საბჭოს N9 სხდომის ოქმიდან (29.07.2020 წ.).

<u>განსახილველი საკითხი:</u>

კათდრების სახელწოდების ცვლილების თაობაზე (მომხსენებელი პროფესორი ვლადიმერ მარგველაშვილი).

<u>მოისმინეს:</u>

პროფესორ ვლადიმერ მარგველაშვილის ინფორმაცია თსუ მედიცინის ფაკულტეტის ორი კათედრის დასახელებაში ცვლილების თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების „მედიცინის“ და „სტომატოლოგიის“ უცხოელ ექსპერტთა მიერ წინასწარი შეფასების საფუძველზე მიღებული იქნა რეკომენდაცია, რომ

ა) "შინაგან დაავადებათა პროპედევტიკისა და ლაბორატორიული დიაგნოსტიკის კათედრას" ეწოდოს "შინაგან დაავადებათა პროპედევტიკის კათედრა”.

ბ) "ბავშვთა ასაკის სტომატოლოგიის კათედრას" ეწოდოს "ბავშვთა ასაკის სტომატოლოგიის და სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკის კათედრა”.

ამ რეკომენდაციების გათვალისწინებით შემოსულია ბავშვთა ასაკის სტომატოლოგიის კათდრის გამგის, პროფესორ მანანა კალანდაძის და შინაგან დაავადებათ პროპედევტიკისა და ლაბორატორიულ დიაგნოსტიკის კათედრის გამგის, პროფესორ ბეჟან წინამძღვრიშვილის შესაბამისი განცხადებები.

გთხოვთ, თქვენს თანხმობას და/ან შენიშვნებს აღნიშნულთან დაკავშირებით.

<u>აზრი გამოთქვეს:</u>

პროფ. დ. კორძაიამ, პროფ. გ. ლობჟანიძემ და პროფ. თ. კეზელმა მიზანშეწონილად ცნეს ექსპერტთა და კათედრის გამგეთა მოსაზრების გაზიარება.

<u>დაადგინეს:</u>

"შინაგან დაავადებათა პროპედევტიკისა და ლაბორატორიული დიაგნოსტიკის კათედრას" ეწოდოს "შინაგან დაავადებათა პროპედევტიკის კათედრა”.

ბ) "ბავშვთა ასაკის სტომატოლოგიის კათედრას" ეწოდოს "ბავშვთა ასაკის სტომატოლოგიის და სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკის კათედრა".

<u>კენჭისყრის შედეგად დადგენილება მიღებულია ერთხმად.</u>

სხდომის თავმჯდომარე



დიმიტრი კორძაია

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მედიცინის ფაკულტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW –
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF MEDICINE

N 15774/32
28/09/2020

15774-32-3-202009281326

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სენატის
სამდივნოს აპარატის ხელმძღვანელს, ბატონ გიორგი ჩაკვეტაძეს

ბატონო გიორგი,
გთხოვთ სენატის უახლოს სხდომაზე გაიტანოთ თსუ მედიცინის ფაკულტეტის ორი კათედრის სახელწოდების ცვლილების საკითხი. კერძოდ,
ა) "შინაგან დაავადებათა პროპედევტიკისა და ლაბორატორიული დიაგნოსტიკის კათედრას" ეწოდოს "შინაგან დაავადებათა პროპედევტიკის კათედრა";
ბ) "ბავშვთა ასაკის სტომატოლოგიის კათედრას" ეწოდოს "ბავშვთა ასაკის სტომატოლოგიის და სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკის კათედრა".
ფაკულტეტის სხდომის ოქმიდან ამონაწერი თან ახლავს.

პატივისცემით,

დიმიტრი კორძაია

დეკანი
ადმინისტრაცია

ჭიაურელის ქ. 2, 0159 თბილისი, საქართველო
2, Chiaureli Str., 0159 Tbilisi, Georgia
http://www.medicine.tsu.ge

ტელეფონი: +(995 32) 291 31 25, 2 25 13 60 Tel.
ფაქსი: +(995 32) 252 09 76 Fax.
ელ.ფოსტა: medicine@tsu.ge; E-mail